*დანართი №1*

**სსიპ - ქალაქ რუსთავის N28 საჯარო სკოლის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების მონიტორინგის ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა**

**ექსპერტთა ჯგუფის წევრები**

თავმჯდომარე: ეკა ბუთხუზი

**წევრები:**

თორნიკე თუთარაშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



**ნაწილი I. შესავალი**

**I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ**

დაწესებულების  სახელწოდება: სსიპ - ქალაქ რუსთავის N28 საჯარო სკოლა

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: საჯარო სამართლის იურიდიული პირი

საიდენტიფიკაციო კოდი: 216295453

**სახე:**

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

■ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

☐ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება/კოლეჯი

***ადმინისტრაციული წარმოების სახე (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა):***

☐ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდა

☐ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილება

☐ საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირება

■ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება

☐ **გეგმიური**

☐ **არაგეგმიური**

■ **საბჭოს შუამდგომლობის საფუძველზე**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



## II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

*სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) 2026 წლის 04 ივნისის №668165 ბრძანების საფუძველზე, დაევალა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს საგანმანათლებლო პროგრამის - "კომპიუტერული ქსელი და სისტემები" ავტორიზაციის დებულების 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტის ბ.ბ) კომპონენტის შესრულებისა და ავტორიზაციის დებულების 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის დ) ქვეპუნქტის დ.ა) კომპონენტის შემოწმების მიზნით 2026 წლის 15 ივნისს განახორციელოს მონიტორინგის ვიზიტი საბჭოს შუამდგომლობის საფუძველზე სსიპ - ქალაქ რუსთავის №28 საჯარო სკოლაში (მის: ქ. რუსთავი, მე-19 მკრ).*
*ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა დაწესებულების მიერ ცენტრში წარმოდგენილი დოკუმენტაცია. შედგა ვიზიტის დღის წესრიგი და 2026 წლის 15 ივნისს განხორციელდა ვიზიტი სსიპ - ქალაქ რუსთავის N28 საჯარო სკოლაში (ქ. რუსთავი მე-19 მკრ). სკოლის, როგორც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების, ადამიანურ თუ მატერიალურ რესურსებთან პროფესიული პროგრამების თავსებადობის მიზნით, შეფასდა სკოლის სასწავლო გარემო, ადამიანური (მათ შორის ადმინისტრაციული) რესურსების კვალიფიკაცია და სამუშაო დატვირთვა, დაწესებულების ორგანიზაციული სტრუქტურა და ფუნქცია-მოვალეობების გადანაწილება, პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსი და სხვ.*
*ვიზიტმა ჩაიარა მშვიდ, კოლეგიალურ ვითარებაში.*

## III. ინფორმაცია პროფესიული სტუდენტების შესახებ

*ინფორმაცია ივსება მხოლოდ მიმდინარე პროგრამების მიხედვით მონიტორინგის დროს ან წარმოების მიზნებიდან გამომდინარე.*

| პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება | საბჭოს მიერ განსაზღვრული პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობა | აქტიური პროფესიული სტუდენტების რაოდენობა | სტატუსშეჩერებული პროფესიული სტუდენტების რაოდენობა | სტატუსშეწყვეტილი პროფესიული სტუდენტების რაოდენობა |
|---|---|---|---|---|
| კომპიუტერული ქსელი და სისტემები | 40 | 18 | 0 | 2 |

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



**I. ავტორიზაციის პირველ, მე-3, მე-4 და მე-5 სტანდარტებთან შესაბამისობის ცხრილი**

| **სტანდარტი/კომპონენტი** | **საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* | **ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|---|
| **4) ადამიანური რესურსები** | ☐ **შეესაბამება**<br>☐ **მეტწილად შეესაბამება**<br>■ **ნაწილობრივ შეესაბამება**<br>☐ **არ შეესაბამება** | ■ **შეესაბამება**<br>☐ **მეტწილად შეესაბამება**<br>☐ **ნაწილობრივ შეესაბამება**<br>☐ **არ შეესაბამება** |
| 4.1) პერსონალის და პროცესების მართვა | ☐ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>■ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

**II. პროგრამების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი**

| **პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დასახელება** | **საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* | **ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|---|
| კომპიუტერული ქსელი და სისტემები | ☐ შეესაბამება<br>■ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

**V. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე**

სსიპ ქალაქ რუსთავის N28 საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი კორესპონდენციით (2026 წლის 07 ივლისის წერილი N882543) დგინდება, რომ დაწესებულება სრულად ეთანხმება ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ შედგენილ დასკვნის პროექტში მოყვანილ ფაქტობრივ გარემოებებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



**ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება**

**4. ადამიანური რესურსები**

**4.1 პერსონალის და პროცესების მართვა**

**4.1.1** პსდ-ს ორგანიზაციული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. პსდ-ში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. პსდ-ს სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს პსდ-ს ძირითადი საქმიანობის განხორციელებას;
3. პსდ-ში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. დაწესებულებაში სკოლის პერსონალის მართვის საკითხებს არეგულირებს სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებული ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი. აღნიშნულ დოკუმენტში მკაფიოდ არის გაწერილი სკოლის სტრუქტურული ერთეულების/პირების მოვალეობები, განსაზღვრულია მათი ფუნქციები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები. წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, დაწესებულების სტრუქტურა მოიცავს შემდეგ პოზიციებს: დირექტორი, დირექტორის მოადგილე, საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სასწავლო პროცესის მართვის კოორდინატორი, საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში ხარისხის მართვის კოორდინატორი, სკოლის ბუღალტერი, საქმისმწარმოებელი, ბიბლიოთეკარი, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი, საინფორმაციო მენეჯერი, დარაჯი, დამლაგებელი, ცეცხლფარეში, ექთანი, პროგრამის ხელმძღვანელი. წარმოდგენილი სტრუქტურა ასახავს დაწესებულების მართვის სისტემას და უზრუნველყოფს ფუნქციების განაწილებასა და პასუხისმგებლობების განსაზღვრას. სტრუქტურაში დაცულია იერარქიული დაქვემდებარება.
   დოკუმენტში გაწერილია დასაქმებულ პირთა სამუშაო აღწერილობები, რომელშიც გათვალისწინებულია პოზიციების ფუნქციები, უფლებამოსილებები, პასუხისმგებლობები.
   თითოეული სტრუქტურული ერთეულის /პოზიციის ფუნქციები მკაფიოდ არის განსაზღვრული და გამიჯნული, ხოლო ადმინისტრაციული პერსონალის სამუშაო აღწერილობებში ნაჩვენებია მათი ფუნქცია-მოვალეობები. აღნიშნული პრაქტიკა გამორიცხავს ფუნქციათა დუბლირებას და უზრუნველყოფს საქმიანობის კოორდინირებულ განხორციელებას. **ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორი 4.1.1.1. - დაწესებულებაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული, დაკმაყოფილებულია.**

2. დაწესებულების სამეოურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებულ ,,ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტში“ გაწერილია სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციები და პასუხისმგებლობები. აღნიშნულ დოკუმენტში თანამშრომელთა ფუნქციები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები მკაფიოდ არის გაწერილი. ასევე, სკოლის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები ცხადჰყოფს, რომ დაწესებულებაში ფუნქციებისა და პასუხიმგებლობის ეფექტური გადანაწილება ხელს უწყობს ძირითადი საქმიანობის განხორციელებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



აღსანიშნავია. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სრულფასოვნად განხორციელების მიზნით დაწესებულებას ჰყავს პროფესიული პროგრამის ფარგლებში სასწავლო პროცესის მართვის კოორდინატორი, საგანმანათლებლო პროგრამის ფუნქციონირების ფარგლებში ხარისხის მართვის კოორდინატორი, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი, საქმისმწარმოებელი. აღნიშნულ პირებთან გასაუბრების შედეგად დადგინდა რომ თითოეული მათგანი იცნობს საკუთარ ფუნქციებსა და საქმიანობას. **ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორი 4.1.1.2. - დაწესებულებების სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს დაწესებულების ძირითადი საქმიანობის განხორციელებას, დაკმაყოფილებულია.**

3. დაწესებულებაში ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელია ხარისხის მართვის კოორდინატორი. მისი ძირითადი ფუნქციაა დაწესებულებაში მიმდინარე პროცესებისა და საქმიანობის მონიტორინგი, შეფასება, კონტროლი და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება. წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, ხარისხის მართვისაზე პასუხისმგებელი პირი უზრუნველყოფს ხარისხის პროცესის კოორდინაციას. მისი საქმიანობა მოიცავს ხარისხის მართვის სამოქმედო გეგმის შემუშავებასა და განხორციელების მონიტორინგს, სკოლაში მიმდინარე პროცესების შესაბამისობის შეფასებას პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტებთან, ასევე ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსების მონიტორინგსა და შეფასებას.
ამასთან, ხარისხის მართვის მენეჯერი მონაწილეობს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მონიტორინგის პროცესში, შესაბამისი მონიტორინგის ჯგუფის ფარგლებში ამზადებს ანგარიშებს და პროგრამის განხორციელების პროცესში ხელმძღვანელობს ვერიფიკაციის პროცესს.
აღნიშნული ფუნქციები ხელს უწყობს სკოლაში ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის ფუნქციონირებასა და საქმიანობის მუდმივ გაუმჯობესება. შემუშავებული და დამტკიცებულია ხარისხის მართვის მენეჯერის/კოორდინატორის სამოქმედო გეგმა, რომელიც მოიცავს დაწესებულებაში მიმდინარე და დაგეგმილი პროცესების მონიტორინგს და ანგარიშგებას.
პერსონალთან გასაუბრების შედეგები ადასტურებს, ხარისხის მართვისას ხარისხის მართვის კოორდინატორის და სხვა პასუხისმგებელი პირების ფუნქციები მკაფიოდ გამიჯნულია, რაც გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს და უზრუნველყოფს პროცესების ობიექტურობას, დამოუკიდებლობასა და ხარისხის მართვის ეფექტიანობას. **ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორი 4.1.1.3. - დაწესებულებაში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს, დაკმაყოფილებულია.**

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით*

- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი;
- სკოლაში მიმდინარე პროცესების აღმწერი;
- ხარისხის უზრუნველყოფის გეგმა;
- სკოლის შინაგანაწესი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



**4.1.2** პსდ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს ორგანიზაციის განვითარებას

1. პსდ-ში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების, მათ შორის შინაგანაწესის, შესაბამისად.
2. პსდ-ს პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობის და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით;
3. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;
4. პსდ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. დაწესებულებაში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება პერსონალის მართვისა და განვითარების პოლიტიკის შესაბამისად. პერსონალის მართვის პოლიტიკა მიმართულია დაწესებულების მიზნების ეფექტიანად განხორციელების უზრუნველსაყოფად და განსაზღვრავს შესაბამის პროცედურებსა და მექანიზმებს. დოკუმენტი მოიცავს პერსონალის დაგეგმვის, ახალი კადრის საჭროების განსაზღვრას, შერჩევის, მოზიდვის, განვითარების, შენარჩუნების პროცესებს, რაც ქმნის პერსონალის მართვის ერთიან სისტემას. პოლიტიკა ეფუძნება შემდეგ ძირითად პრინციპებს: სამართლიანობა, თანასწორობა და გამჭვირვალობა. კერძოდ, გადაწყვეტილებები მიიღება ობიექტურ კრიტერიუმებზე დაყრდნობით; უზრუნველყოფილია თანამშრომელთა თანასწორი და მიუკერძოებელი მოპყრობა; ხოლო პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება ღიაობისა და ხელმისაწვდომობის პრინციპების დაცვით.
   აღნიშნული დოკუმენტით განსაზღვრულია: პერსონალის მართვის პრინციპები, პერსონალის შერჩევის პროცესი, კონკურსის ჩატარების პროცედურა, თანამშრომლის დაწესებულებაში ინტეგრაციის პროცედურა, პერსონალის შეფასების პროცედურა და მეთოდოლოგია, პერსონალის წახალისება და განვითარება. პერსონალის მართვასთან დაკავშირებული მარეგულირებელი დოკუმენტები ხელმისაწვდომობის მიზნით, განთავსებულია სკოლის ვებგვერდზე/საინფორმაციო დაფაზე. **ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორი 4.1.2.1. - დაწესებულებაში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების, მათ შორის შინაგანაწესის, შესაბამისად, დაკმაყოფილებულია.**

2. დაწესებულების დირექტორის მიერ დამტკიცებული შიდა მარეგულირებელი დოკუმენტის „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა“ მიხედვით, სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს დაწესებულების ძირითადი საქმიანობის განხორციელებას. სკოლის ერთ-ერთ ძირითად საკითხია შესაბამისი კომპეტენციის, გამოცდილებისა და ღირებულებების მქონე პერსონალის მოზიდვა, შერჩევა, დანიშვნა და მათი ეფექტიანი ადაპტაცია-ორიენტაცია სამუშაო გარემოში. შერჩევის პროცესში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა კონკრეტული პოზიციისათვის საჭირო ცოდნისა და უნარების შესაბამისობას. ამასთან, განსაზღვრულია, რომ კოლეჯის პერსონალი უნდა იზიარებდეს ორგანიზაციის ძირითად ღირებულებებს, მათ შორის: შედეგსა და განვითარებაზე ორიენტაციას, სიახლეებისადმი ღიაობას, გუნდურ მუშაობას და პასუხისმგებლობას.
   პერსონალის შერჩევა ხორციელდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, შემდეგ პრინციპებზე დაყრდნობით: ობიექტურობა, გამჭვირვალობა. პერსონალის შერჩევის პროცესი არის მკაფიო, თანმიმდევრული და გამჭვირვალე პროცედურა, რომელიც უზრუნველყოფს კვალიფიციური და შესაბამისი კადრების მოზიდვასა და შერჩევას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



პერსონალის მოზიდვა შეიძლება განხორციელდეს როგორც შიდა ისე გარე წყაროების გამოყენებით:

- შიდა მოზიდვის წყაროა - სკოლაში დასაქმებული პერსონალი;
- გარე მოზიდვის წყაროა - ინტერნეტ სივრცეში განთავსებული განცხადებები.

სკოლაში ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის (გარდა სკოლის დირექტორის მოადგილისა) ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის შერჩევა ხდება ღია კონკურსის წესით და/ან მის გარეშე. ღია კონკურსის გარეშე პერსონალის შერჩევას ახორციელებს დირექტორი პირდაპირი დანიშვნის გზით.

დასაშვებია ყოველი კონკურსის ჩატარებას წინ უძღოდეს კონკურსის ჩატარების წესის დამტკიცება, რომლის მიზანიცაა სამუშაო აღწერილობებთან და სკოლის საჭიროებებთან დაკავშირებული მოთხოვნების იდენტიფიცირება და დამტკიცება.

**ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორი 4.1.2.2. - დაწესებულების პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობის და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით, დაკმაყოფილებულია.**

3. დაწესებულებას პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები გაწერილი აქვს შიდა მარეგულირებელს დოკუმენტში „ადამიანური რესურსების მართვისა პოლიტიკა“, რომლის მიხედვითაც არის დაკომპლექტებული ადმინისტრაციული პერსონალი. დაწესებულებას საკვალიფიკაციო მოთხოვნებში განსაზღვრული აქვს მინიმალური განათლების დონე, რიგ შემთხვევაში შესაბამისი პროფესიული გამოცდილება, ტექნიკური უნარები, ენის ფლობა, პოზიციის შესაბამისი საკანონმდებლო აქტების ცოდნა. განსაზღვრული მოთხოვნები შესაბამისია პოზიციების და განსაზღვრული ფუნქცია-მოვალეობების. ყველა პერსონალი აკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, მათ პირად საქმეებში დაცულია შესაბამისი კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. **ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორი 4.1.2.3. - პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას, დაკმაყოფილებულია.**

4. დაწესებულების პერსონალი მუშაობს გუნდურობის პრინციპით, რომლის მტკიცებულებად შეიძლება მივიჩნიოთ დაწესებულებაში მოქმედი სტრატეგიული დაგეგმვის დოკუმენტი, ასევე სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შემუშავების მიზნით სკოლის დირექტორის ბრძანებით შექმნილი სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავებაზე პასუხისმგებელი სამუშაო ჯგუფის საქმიანობა. პროფესიული პროგრამის შემუშავების მიზნით სამუშაო ჯგუფის საქმიანობა. სასწავლო გეგმის შემუშავების კულტურა და ა.შ. **ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორი 4.1.2.4 - დაწესებულების პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს, დაკმაყოფილებულია.**

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით*

- დაწესებულების შინაგანაწესი;
- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი;
- ინტერვიუ დაწესებულების წარმომადგენლებთან.

შეფასება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**ნაწილი IV. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ის შესახებ**

**I. ზოგადი ინფორმაცია**

***ცხრილი ივსება ცალ-ცალკე თითოეული პროგრამისა და ასევე, პროგრამის განხორციელების ადგილის და ენის მიხედვით. (ინდივიდუალურ პროგრამებად განიხილება განხორციელების ადგილისა და სწავლების ენის მიხედვით განსხვავებული პროგრამები. მაქსიმუმ 15 პროგრამა)***

| | |
|---|---|
| პროგრამის სახელწოდება | კომპიუტერული ქსელი და სისტემები |
| პროფესიული განათლების დონე | მეოთხე |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია კომპიუტერულ ქსელსა და სისტემებში |
| სწავლის დეტალური სფეროს კოდი | 0612 |
| პროგრამის განხორციელების ენა | ქართული ენა |
| პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები | ქალაქი რუსთავი, მე-19 მკრ. |
| პროგრამის სწავლების ფორმა (დუალური/კოოპერაციული/იმიტირებულ გარემოში) | იმიტირებული სამუშაო გარემო |
| დაწესებულების მიერ პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით (არსებობის შემთხვევაში ინტეგრირებულ სასწავლო გეგმაზე) | 40 |
| აქტიური პროფესიული სტუდენტების რაოდენობა (არსებობის შემთხვევაში, სწავლების ფორმის შესაბამისად, მათ შორის ინტეგრირებულის არსებობის შემთხვევაში) | 18 |

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



| | |
|---|---|
| ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით პროგრამის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით (არსებობის შემთხვევაში ინტეგრირებულ სასწავლო გეგმაზე) | 40 |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 117 |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 87 |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 147 |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 117 |

**II. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასაბუთება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ**

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ■
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

*იმ შემთხვევაში, თუ არ ეთანხმებით დაწესებულების მიერ მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას, გთხოვთ, დაასაბუთოთ:*

| **სტანდარტი/კომპონენტი** | **საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* | **ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|---|
| **2) საგანმანათლებლო პროგრამები** | ☐ შეესაბამება<br>■ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი** | ☐ შეესაბამება<br>■ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

**III. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი**
***ცხრილი ივსება თითოეული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე***

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



**2. საგანმანათლებლო პროგრამები**

**2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი;**

**2.2.1** პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით;

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგები მიიღწევა დაწესებულების მფლობელობაში არსებული მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობით, რომელიც პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობის ადეკვატურია. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „კომპიუტერული ქსელი  და სისტემები“ განხორციელდება სსიპ - ქალაქ რუსთავის N28 საჯარო სკოლაში.  40 პროფესიულ სტუდენტზე გათვლილ AB გარემოში. ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა მატერიალური რესურსის შესყიდვის დოკუმენტაცია, რომლითაც დასტურდება პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო რესურსის ფლობა. აღნიშნული რესურსის ნაწილი შეძენილია სკოლის მიერ, ხოლო ნაწილი შეისყიდა ქალაქ რუსთავის მერიის სამსახურმა. დოკუმენტაციისა და ვიზუალური დათვალიერებით დასტურდება, რომ დაწესებულებას პროგრამის განსახორციელებლად აქვს 42 კომპიუტერი (40 სტუდენტისათვის), 10 მაგიდა და სკამი (20 სტუდენტზე გათვლილი). ამჟამად დაწესებულებას მოწყობილი აქვს 20 სტუდენტზე გათვლილი ერთი AB გარემო, რომელიც აღჭურვილია შესაბამისი რესურსით:
   - 20 კომპიუტერი (პროფესიული სტუდენტისთვის);
   - 10 მაგიდა და 20 სკამი ( 20 პროფესიული სტუდენტისთვი);
   - 1 მაგიდა, 1 სკამი და 1 კომპიუტერი (პროფესიული მასწავლებლისთვის);
   - 1 პროექტორი, 1 ეკრანი.

   დაწესებულებას ასევე გამოყოფილი აქვს ერთი A გარემო, რომელსაც სტუდენტთა მეორე ნაკადის მიღებისთვის, საჭიროების შემთხვევაში, მოაწყობს AB გარემოდ. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა სრულადაა უზრუნველყოფილი დაწესებულების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ პროფესიული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



საგანმანათლებლო პროგრამისთვის განსაზღვრული მატერიალური და სასწავლო რესურსები არის რეალისტურად დაგეგმილი, ხელმისაწვდომი და შესაბამისობაშია პროგრამის მიზნებსა და შინაარსთან. **ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორი 2.2.1.1 - პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით დაკმაყოფილებულია.**

2. პროგრამის პაკეტს თან ერთვის განმახორციელებელი პერსონალის სია, რაც უზრუნველყოფს პროცესების გამჭვირვალობას და პასუხისმგებლობების მკაფიო განაწილებას. საგანმანათლებლო პროგრამისათვის „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ განსაზღვრულია 12 პროფესიული განათლების მასწავლებელი; მათგან 8 მასწავლებელი განახორციელებს ზოგად მოდულებს, ხოლო 4 მასწავლებელი განახორციელებს პროფესიულ მოდულებს. ვიზიტის ფარგლებში შესწავლილ იქნა მასწავლებელთა პირადი საქმეები. პირადი საქმეების შესწავლის შედეგად გამოიკვეთა, რომ პროფესიული მოდულების განმახორციელებლებიდან 2 მასწავლებელს არ უდასტურდება ზოგიერთი მოდულების წაკითხვის შესაძლებლობა, თუმცა 2 მასწავლებლის ცოდნა და გამოცდილება სრულიად შეესაბამება პროგრამის განსახორციელებლად საჭირო საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. აღნიშნულის გათვალისწიებით შესწავლილ იქნა მასწავლებელთა საათობრივი დატვირთვა და მოდულების განაწილება, რომელიც, ექპერტთა შეფასებით, უზრუნველყოფს პროგრამის უწყვეტ განხორციელებას. გარდა ამისა, ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან გასაუბრებისას და დოკუმენტაციის შესწავლისას დადგინდა, რომ პროფესიული პროგრამის მასწავლებლის საკვალიფიკაციო მოთხოვნებში შევიდა ცვლილება, კერძოდ, დაემატა პროფესიული საქმიანობის სამუშაო გამოცდილების ცნობა არანაკლებ სამი წლისა. გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ ცვლილების საფუძველზე დაწესებულება, მდგრადობის მიზნით, გეგმავს დარგობრივი მოდულების განმახორციელებელთა დამატებით მოძიებას. ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ პროგრამისათვის წარმოდგენილი განმახორციელებელი პერსონალის რაოდენობა და დატვირთვის განაწილება საკმარისია, რეალისტურია და უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის მდგრად განხორციელებას. **ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორი 2.2.1.2 - პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლას ხელშეკრულება გაფორმებული აქვს შესაბამისი კვალიფიკაციის/სამუშაო გამოცდილების მქონე პირებთან, რაც დასტურდება მათ მიერ სკოლაში წარმოდგენილი კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტებით. აღნიშნული დოკუმენტაციის თანახად, პროფესიულ მასწავლებლად მუშაობის დასაწყებად კანდიდატს უნდა ჰქონდეს შესაბამის სფეროში მუშაობის არანაკლებ სამწლიანი გამოცდილება ან შესაფერისი კვალიფიკაციის დამადასტურებელი დიპლომი. პროფესიული განათლების მასწავლებლების პირად საქმეებში დაცულია პერსონალის კვალიფიკაციის დამადასტურებელი დიპლომები და სერტიფიკატები, რომელთა საფუძველზეც, პროფესიული განათლების მასწავლებელთა კვალიფიკაცია იძლევა მოდულების სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას. მათი კვალიფიკაცია შეესაბამება დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. მასწავლებლებს გავლილი ,,პროფესიული უნარების სააგენგოს“ მიერ ორგანიზებული ტრენინგები ინტეგრირებული მოდულის სწავლების მეთოდებსა თუ შეფასების საკითხებში. გარდა ამისა, პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და ცოდნის გაზიარების მიზნით, დაწესებულების ადმინისტრაცია უზრუნველყოფს სამუშაო ჯგუფების შეხვედრას ისეთ თემებზე, როგორიცაა პროფესიული საგანმანათლებლო მოდულის თემატურ-კალენდარული გეგმების შემუშავება, კომპლექსური დავალებების შეფასების საკითხები და სხვ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



მასწავლებელთა პირადი საქმეებისა და საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესწავლითა და მათთან გასაუბრებით დასტურდება, რომ პროფესიულ მასწავლებელთა კომპეტენცია შესაბამისობაშია, დაწესებულების მიერ განსაზღვრულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან.

**ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორი 2.2.1.3. - პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია, შესაბამისობაშია.**

4. პროფესიულ საგანმანთლებლო პროგრამას, „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ ჰყავს დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი, რომლის კომპეტენციაც დასტურდება, განათლების დამადასტურებელი დოკუმენტით (დიპლომი) და შესაბამისი გამოცდილებით, რომელიც დასტურდება სამუშაო გამოცდილების შესახებ ცნობით. მისი ფუნქცია-მოვალეობები განსაზღვრულია ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტში და მასთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში. ექსპერტთა ჯგუფი დაწესებულებაში ვიზიტის პერიოდში გაესაუბრა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელს და ინტერვიუს შედეგებითაც დასტურდება მისი კომპეტენცია. პროგრამის ხელმძღვანელს გავლილი აქვს პროფესიული უნარების სააგენტოს მიერ ორგანიზებული ტრენინგი სწავლებისა და შეფასების მიმართულებით. იგი ასევე მონაწილეობას იღებს დაწესებულების მიერ ჩატარებულ სამუშაო შეხვედრებზე, რომლის მიზანია სწავლებისა და შეფასების მიმართულებით პედაგოგთა გადამზადება. **ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორი 2.2.1.4 დაკმაყოფილებლია - პროგრამას ჰყავს ხელმძღვანელი, რომელიც იმავდროულად არის ამ პროგრამის პროფესიული მოდულის განმახორციელებელი და რომელსაც გააჩნია დადასტურებული კომპეტენცია პროგრამით გათვალისწინებული კვალიფიკაციის მიმართულებით.**

5. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ელექტრონული სახით და ბეჭდური ხელმისაწვდომია სკოლის ბიბლიოთეკაში. სკოლაში მოქმედებს ბიბლიოთეკის გამოყენების წესი, რომელიც უზრუნველყოფს სკოლის ყველა პირისთვის და შემდგომში პროფესიული სტუდენტებისთვის საგანმანათლებლო რესურსების ხელმისაწვდომობას. ბიბლიოთეკაში განთავსებულია ინტერნეტის ქსელში ჩართული ორი კომპიუტერი და ერთი ლეპტოპი პროფესიული სტუდენტებისა და ბიბლიოთეკარისთვის, ერთი საოფისე კომბაინი (პრინტერი). ელექტრონული რესურსები ატვირთულია ღრუბლოვან სივრცეში, ხოლო მასზე წვდომა ყველა დაინტერესებულ პირს შეუძლია QR კოდის მეშვეობით, რომელიც განთავსებულია ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზსა და სასწავლო აუდიტორიაში. რესურსების არსებობა და მათი სასწავლო პროცესში გამოყენება დასტურდება ვიზუალური დათვალიერებითა და პროფესიულ სტუდენტებთან გასაუბრებით. **ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორი 2.2.1.5. - საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში, შესაბამისობაშია.**

6. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულება არეგულირებს, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების საკითხებს. დებულებაში განსაზღვრულია სსსმ პირებისათვის, საჭიროების შემთხვევაში, ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავების პროცედურები. ამჟამად პროგრამაზე ირიცხება ერთი სსსმ სტატუსის მქონე მოსწავლე. მასწავლებლებთან და ინკლუზიური განათლების სპეციალისტთან გასაუბრებით დადგინდა, რომ აღნიშნული მოსწავლე არ საჭიროებს ინდივიდუალური სასწავლო გეგმით სწავლებას. **ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორი 2.2.1.6 - სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად, შესაბამისობაშია.**

7. სკოლამ შეიმუშავა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტი, სასწავლო გეგმით წარმოდგენილი საათობრივი დატვირთვის შესაბამისად. გათვალისწინებულია, როგორც პროფესიული მასწავლებლების ისე ინტეგრირებული ზოგადი მოდულების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



მასწავლებლების საათობრივი ანაზღაურება. საპროგნოზო ბიუჯეტი შეიცავს, პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებულ სავარაუდო შემოსავლებისა და ხარჯების კალკულაციას. შემოსავალი უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების გაწევის შესაძლებლობას, სადაც გათვალისწინებულია შემოსავლებში - ვაუჩერული დაფინანსება. ხარჯებში პროფესიული მასწავლებლების შრომითი ანაზღაურება და მატერიალური რესურსის ხარჯი. საპროგნოზო ბიუჯეტის მიხედვით პროგრამა მდგრადია, რადგან სავარაუდო ხარჯების ნაწილს ფარავს შემოსავლების ნაწილი. **ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორი 2.2.1.7 - დაწესებულების ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა, შესაბამისობაშია.**

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით*

- საგანმანათლებლო პროგრამის მატერიალური რესურსების დანართი;
- საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებლების დანართი;
- სსიპ - ქალაქ რუსთავის N28 საჯარო სკოლის ადამიანური რესურსების მართვის დოკუმენტი;
- განმახორციელებელი პირების პირადი საქმეები;
- პროფესიულ მასწავლებელთა შეხვედრის უწყისები;
- ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**ნაწილი VI. თანდართული დოკუმენტაცია**
დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი

10.07.2026
თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: